1. *რატომ ჩამოდიხართ ახლა საქართველოში?*

დიდად მადლობელი ვარ, რომ ქალბატონმა პრეზიდენტმა საქართველოში დამპატიჟა. საქართველოს ვიცნობ რამდენიმე ვიზიტიდან საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში, პირველ რიგში კი 2008 წლის მძიმე დღეებიდან, როდესაც ვერ მოხერხდა იმ ომის თავიდან აცილება, რომლის შედეგებიც ქვეყანაში დღემდე საგრძნობია.
საქართველოსა და გერმანიას აკავშირებს ხანგრძლივი და ღრმა ისტორია. საქართველო არის ძველი, კულტურის მხრივ უსაზღვროდ მდიდარი ევროპული ქვეყანა. ეს ჩვენ, გერმანელებმა, კარგად დავინახეთ ფრანკფურტის წიგნების ბაზრობაზე, რომელზეც გასულ წელს საქართველო შთამბეჭდავი პრეზენტაციით წარსდგა. დღეს საქართველო და გერმანია ერთმანეთთან დაკავშირებულები არიან, როგორც ევროპული დემოკრატიული ქვეყნები.
ჩვენი ქვეყნები ამჟამად ეძებენ მართებულ ბალანსს ინდივიდუალურ განვითარებასა და საზოგადოებრივ ერთსულოვნებას შორის და ასევე პასუხებს პოლიტიკური პოლარიზაციის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენი დემოკრატიებისათვის შეიძლება საშიში გახდეს. საქართველო და გერმანია ასევე ერთად დგანან ჩვენი დროის პოლიტიკური და ტექნოლოგიური გამოწვევების წინაშე. ამიტომ გერმანიის პრეზიდენტის ვიზიტი ბოლო ვიზიტიდან 23 წლის შემდეგ სწორედაც რომ დროული იყო.

2. *რომელ მნიშვნელოვან თემებზე გამახვილდება განსაკუთრებით ყურადღება ვიზიტის დროს?*

ჩემი ვიზიტის ყველაზე მნიშვნელოვანი თემა არის ჩვენი, როგორც დემოკრატიული და ევროპული მეზობელი ქვეყნების საერთო მომავალი. რა თქმა უნდა საუბარი იქნება ასევე ჩვენ ეკონომიკურ კავშირებზეც. საქართველოში ბევრი მნიშვნელოვანი რეფორმის განხორციელებაა დაწყებული. ჩვენ ეკონომიკურ ურთიერთობებსაც კიდევ უფრო მეტი პოტენციალი აქვს, მაგალითად დუალურ პროფერსიულ განათლებაში - სულ უფრო მეტ ახალგაზრას შეუძლია, საქართველოში მიიღოს კარგი დუალური პროფესიული განათლება, რადგან მიღებული კვალიფიკაციები ეკონომიკის სფეროში სასწრაფოდ სჭირდებათ. ეს ეხება ასევე უფრო მეტ გერმანულ ინვესტიციას, ამიტომაც ჩემთან ერთად ჩამოვლენ გერმანული ფირმების წარმომადგენლები. მოხარული ვარ, რომ საქართველოს პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან პოლიტიკური შეხვედრების გარდა შევხვდები ასევე კულტურის მოღვაწეებს, ინტელექტუალებს, რათა მათთან საქართველოს განვითარებაზე ვისაუბრო. და რაც მთავარია, ძალიან მიხარია, რომ კახეთსაც ვესტუმრები, ვნახავ მისი კულტურის საგანძურს და გავიცნობ საქართველოს იმ ნაწილს, რომელსაც აქამდე არ ვიცნობდი. საქართველოსადმი აღფრთოვანება გერმანელ ტურისტებში სულ უფრო იზრდება და ეს მეც მსურს, შევიგრძნო. საქართველოს უკვე იცნობენ, იზრდება ინტერესი, ტურისტების რიცხვი და უკვე ხშირად ვხვდები ადამიანებს, რომლებსაც მოვლილი აქვთ

სვანეთის მთები, თბილისის კლუბებში მთელი ღამეები უცეკვიათ, იმათაც, რომლებიც კახეთში ნამყოფები და ქართული ღვინით აღფრთოვანებულები არიან. თითოეულ ამ თემასთან დაკავშირებით გვინდა, ქართულ-გერმანულ თანამშრომლობას ახალი იმპულსები შევძინოთ.

3. *არსებული რეალობიდან გამომდინარე მხარს დაუჭერს თუ არა გერმანია საქართველოს ნატოში გაწევრიანებას? არის თუ არა საქართველო ნატო-ში წევრობისთვის მზად და თუ არ არის, კონკრეტულად რა ნაბიჯები უნდა გადადგას თბილისმა, რომ ბოლოს და ბოლოს ნატოს კარი შეაღოს? საქართველოს პარტნიორები მიესალმებიან იმას, რომ თბილისსა და მოსკოვს შორის პირდაპირი დიალოგი ინტენსიურად დაიწყო. თუმცა, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საქართველო რუსეთთან მოლაპარაკებისას ერთი ერთზე არ უნდა დარჩნენ და მოდერატორი ევროკავშირი უნდა იყოს. თქვენ რა ფიქრობთ?*

ჩვენ, გერმანელებმა ვიცით საქართველოს იმედებისა და მოლოდინების შესახებ. ასევე ვიცით თქვენი ქვეყნის არც თუ ისე იოლი გეოპოლიტიკური მდებარეობის შესახებაც. გერმანია მხარს უჭერს ალიანსში მიღებულ გადაწყვეტილებებს. პრაქტიკული თანამშრომლობა, საზღვარგარეთ მიმდინარე მისიებშიც, მაგალითად ავღანეთში, ბოლო წლების განმავლობაში კიდევ უფრო მჭიდრო გახდა. ასევე შეუცვლელი და მტკიცეა გერმანიის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხშიც. ჩემი ვიზიტის ფარგლებში მე თავად გავეცნობი სიტუაციას სამხრეთ ოსეთთან არსებულ ადმინისტრაციულ ხაზთან.
კარგია, რომ ისევ აღდგა საუბრის არხები საქართველოსა და რუსეთს შორის საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე. ამასთან საქართველო დამოუკიდებლად წარმოადგენს თავს და ამავე დროს აქვს თავის პარტნიორების მხარდაჭერა. გერმანიისათვის ნათელია, რომ ტერიტორიული მთლიანობა არის პრინციპი, რომლის გარეშეც ევროპაში მშვიდობა ვერ იქნება.

4. *ამერიკელი თუ ევროპელი ყოფილი მაღალჩინოსნები ინტერვიუებში აცხადებენ, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, დასავლეთს უფრო მკაცრი პოზიცია რომ დაეკავებინა რუსეთთან მიმართებაში, აღარ მოხდებოდა ის, რაც ხდება ყირიმთან და უკრაინის აღმოსავლეთთან დაკავშირებით. თქვენ რას ფიქრობთ? საკმარისად არამკაცრი მიდგომები ხომ არ მოქმედებს წამახალისებლად რუსეთის აგრესიულ გეგმებზე?*

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი მაშინ ინტენსიურად ვცდილობდი მოსალოდნელი ომის თავიდან აცილებას. მიზეზები, თუ რატომ არ გამოვიდა ეს, დაწვრილებით იქნა განხილული საერთაშორისო დონეზე. დღეს ქართული პოლიტიკა ემყარება ძალადობაზე უარის თქმის ერთმნიშვნელოვან პრინციპს. ეს ჭკვიანურად მიმაჩნია. მაგრამ ის, რაც 2014 წელს საერთაშორისო სამართლის ნორმების დამრღვევი ყირიმის ანექსიითა და რუსეთის

ძალადობრივი პოლიტიკით აღმოსავლეთ უკრაინაში მოხდა, სხვა საკითხია. ევროპამ თავის საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად ამ ქმედებებზე გასცა ნათელი და ერთიანი პასუხი, რომელიც დღესაც შეუზღუდავად არის ძალაში. შესაძლებელი გახდა კონფლიქტის შემცირება, მაგრამ სამწუხაროდ ის დღემდე არ არის გადაჭრილი. კარგია, რომ ბოლო დღეებში შეინიშნება ახალი მოქმედებების მანიშნებელი სიგნალები ორივე მხარეს. აქაც იგივეს ვიტყვი: ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის დაცვის გარეშე არ შეიძლება ევროპაში ხანგრძლივად იყოს მშვიდობა.

5. ***გარეკვეული პერიოდის წინ, გერმანულ პრესაში საკმაოდ მასშტაბური აჟიოტაჟი იყო ატეხილი ქართველ არალეგალ მიგრანტებთან დაკავშირებით. საქართველოში ამას მტკივნეულად აღიქვამდნენ იმ კუთხით, რომ პრობლემის გამწვავების შემთხვევაში, შესაძლოა, გერმანულ მხარეს მოეთხოვა საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის შეჩერება. თქვენი ინფორმაციით, ამ დროისთვის როგორი მდგომარეობა და როგორ შეიძლება დარეგულირდეს ორ ქვეყანას შორის შრომითი მიგრაციის საკითხები?***

ვიზალიბერალიზაცია არის უმნიშვნელოვანესი მოვლენა საქართველოს ევროპასთან დამოკიდებულების ისტორიაში. ამით ევროკავშირსა და საქართველოს შორის უფრო მეტი ურთიერთობისათვის ფართოდ გაიღო კარი. მაგრამ ხანგრძლივ პერსპექტივაში ეს შესაძლებელი იქნება მხოლოთ მაშინ, თუ ახლად მიღებულ თავისუფლება ბოროტად არ იქნება გამოიყენებული. ყოველ წელს ათასობით საქართველოს მოქალაქეს შეაქვს განაცხადი გერმანიაში თავშესაფრის მოთხოვნით და თითქმის ყველა შემთხვევაში ჩვენი უწყებები და სასამართლოები იღებენ გადაწყვეტილებებს, რომ ეს განაცხადები უსაფუძვლოა. გერმანული უწყებები ამ საკითხებში მჭიდროდ თანამშრომლობენ ქართულ უწყებებთან.

მკაფიოდ მინდა განვაცხადო, რომ არსებობს ასევე ლეგალური შესაძლებლობები, გერმანიაში ჩამოსვლისა და ჩვენთან სწავლის, პროფესიის დაუფლებისა თუ მუშაობისათვის. ამისათვის სხვა საბუთებთან ერთად საჭიროა ენის გამოცდის ჩაბარება და გარკვეული განათლების დონის დადასტურება. იმედი მაქვს, რომ მომავალში უფრო მეტი ქართველი ჩამოვა გერმანიაში, ისწავლის და იმუშავებს ჩვენთან და შემდეგ თავის ცოდნასა და შესაძლებლობებს ისევ საქართველოში გამოიყენებს. ამით ორივე ქვეყანა ნახავს სარგებელს.